



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/2499
11/04/2019

2499-09-2-201904111304



საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის
პროგრამის კოორდინატორს ვახტანგ კობალაძეს

ბატონო ვახტანგ,

#3-313 წერილის პასუხად 2018 წელს სუნელებსა და სანელებლებში ტყვიის მომატებული შემცველობის გამო სააგენტოს მიერ განხორციელებული ქმედებების შესახებ გაცნობებთ შემდეგს:

ი.მ. „გულიზარ ჩოფლიანი“ - განხორციელდა არაგემური ინსპექტირება, ბიზნესოპერატორს მიეცა რეკომენდაციები (არაკრიტიკული შეუსაბამობა), დაჯარიმდა სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 74¹ მუხლის პირველი ნაწილით. გამოცდის ოქმში მითითებული პარტია ადგილზე აღარ დაფიქსირდა, ხოლო რეალიზაციაში არსებული სხვა პარტიებიდან ჩვენი ზედამხედველობით აღებულია შემდეგი ნიმუშები: მეგრული აჯიკა, სვანური მარილი, სუფრის მარილი. ადგილზე არსებული სუნელ-სანელებლები დაილუქა, ბიზნესოპერატორს დაევალა რეალიზაციაში არსებული სუნელ-სანელებლების გამოკვლევა ტყვიის შემცველობაზე და სააგენტოს ინფორმირება კვლევის შედეგებზე; ასევე, აეკრძალა ადგილზე დარჩენილი და დალუქული სურსათის რეალიზაცია შესაბამისი შედეგების მიღებამდე.

ბიზნესოპერატორის მიერ წარმოდგენილი გამოცდის ოქმების საფუძველზე დადგინდა, რომ ტყვიის მომატებული შემცველობა ($7,36 \pm 0,52$ მგ/კგ, ნაცვლად $5,0$ მგ/კგ-სა) გამოვლინდა მხოლოდ სვანური მარილის ნიმუშში და, შესაბამისად, უფლებამოსილი პირების მიერ ადგილზე დალუქული სვანური მარილი 2018 წლის 26 ივნისს განადგურდა სააგენტოს ზედამხედველობით.

ი.მ. „მალხაზ კახაძე“ - განხორციელდა არაგემური ინსპექტირება, ბიზნესოპერატორს მიეცა რეკომენდაციები (არაკრიტიკული შეუსაბამობა), დაჯარიმდა სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 74¹ მუხლის პირველი ნაწილით. გამოცდის ოქმში მითითებული პარტია ადგილზე აღარ დაფიქსირდა, ხოლო რეალიზაციაში არსებული სხვა პარტიებიდან ჩვენი ზედამხედველობით აღებულია შემდეგი ნიმუშები: სვანური მარილი, ხმელი ქინძი დაფქული, ხმელი ქინძი მარცვალი, აჯიკა

მშრალი, ხმელი სუნელი, უცხო სუნელი, წითელი წიწაკა - დაღერდილი, კურკუმა, ძირა მარცვალი, მარილი მსხვილი. ადგილზე არსებული სუნელ-სანელებლები დაილუქა, ბიზნესოპერატორს დაევალა რეალიზაციაში არსებული სუნელ-სანელებლების გამოკვლევა ტყვიის შემცველობაზე და სააგენტოს ინფორმირება კვლევის შედეგებზე, ასევე, აკრძალა ადგილზე დარჩენილი და დალუქული სურსათის რეალიზაცია შესაბამისი შედეგების მიღებამდე.

ბიზნესოპერატორის მიერ წარმოდგენილი გამოცდის ოქმებით, ტყვიის შემცველობა დადასტურდა სვანური მარილისა ($5,64 \pm 0,1$ მგ/კგ) და ხმელი სუნელის ($5,27 \pm 0,1$ მგ/კგ) ნიმუშებში. უფლებამოსილი პირების მიერ ადგილზე დალუქული სვანური მარილი და ხმელი სუნელი სააგენტოს ზედამხედველობით განადგურდა 2019 წლის 11 იანვარს, ამდენად, აღნიშნული ქმედება ვერ მოხვდებოდა 2018 წლის ზედამხედველობის რეესტრში.

შპს „iProduct“ - განხორციელდა არაგეგმური ინსპექტირება, შემოწმებისას გამოვლინდა სურსათის ეტიკეტირების დარღვევის ფაქტები და კრიტიკული შეუსაბამობა. ბიზნესოპერატორს შეუჩერდა საწარმოო პროცესი კრიტიკული შეუსაბამობების აღმოფხვრამდე; ამასთან, ერთი წლის განმავლობაში ეტიკეტირების განმეორებით დარღვევის გამო, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 74¹ მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, შპს „iProduct“ დაჯარიმდა 1200 ლარით.

დამატებით გაცნობებთ, რომ ინსპექტირებისას შპს „iProduct“-ს ბაზრიდან უკვე გამოთხოვილი და დასაწყობებული ჰქონდა 01.12.2017-ში წარმოებული ხმელი სუნელი საერთო რაოდენობით 265 კგ და მის შემდგომ რეალიზაციას აღარ აპირებდა.

შპს „iProduct“-ის სურსათის საბითუმო სარეალიზაციო ობიექტში შემდეგ განხორციელდა ინსპექტირებისას გაცემული მითითებების გადამოწმება. ბიზნესოპერატორს მითითებების ნაწილი არ ჰქონდა შესრულებული, კვლავ დარღვეული იყო საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები სურსათის ეტიკეტირებისადმი, რის გამოც ბიზნესოპერატორი სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 74¹ მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად დაჯარიმდა.

2018 წლის 30 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სამსახურის ინსპექტორებმა შპს „iProduct“-ის სურსათის საბითუმო სარეალიზაციო ობიექტში განახორციელეს სახელმწიფო კონტროლი - ზედამხედველობა. შემოწმებისას სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ დალუქული სურსათი (ხმელი სუნელი) ადგილზე ინახებოდა. ბიზნესოპერატორს ხმელი სუნელი ჯერჯერობით არ გაუნადგურებია.

შპს „ოლო“ - სახელმწიფო კონტროლი ვერ განხორციელდა, ვინაიდან ბიზნესოპერატორი რეგისტრირებულ მისამართზე - გარდაბნის რაიონის სოფელ თელეთში ვერ მოიძებნა. სააგენტო ამჟამადაც აგრძელებს მიკვლევადობას, რაც შეეხება სს „ფუდმარტს“, ზედამხედველობა განხორციელდა 2018 წლის 20 ნოემბერს.

ი/მ „ზაქრო კახაძე“ - საკითხი გადაეცა სამართალდამცავ ორგანოებს. ბიზნესოპერატორთან ზედამხედველობა განხორციელდა 2018 წლის 26 ივლისს.

ი/მ „ბადრი ჯახია“, ი/მ „გიგა შარანგია“, ი/მ „მადონა თოდუა“ - სუნელ-სანელებლების აღნიშნულ სარეალიზაციო ობიექტებში განხორციელდა არაგეგმური ინსპექტირება. გამოცდის ოქმებში მითითებული პარტიები ადგილზე აღარ დაფიქსირდა, ხოლო რეალიზაციაში არსებული სხვა პარტიებიდან ჩვენი

ზედამხედველობით აღებული იქნა სუნელ-სანელებლების ნიმუშები, სადაც ტყვის შემცველობა ნორმის ფარგლებში იყო.

ამასთან, გაცნობებთ, რომ მიკვლევადობით შემთხვევების ძირითადი ნაწილი უკავშირდებოდა შპს „ჯეო“-ს, სადაც 2018 წლის განმავლობაში განხორციელდა 6 ინსპექტირება (მ.შ. 2 გადამოწმება). სააგენტოს უფლებამოსილი პირების ზედამხედველობით აღებულია და აკრედიტებულ ლაბორატორიებში გამოკვლეულია სუნელისა და სანელებლების ნიმუშები, შეუსაბამობა არცერთ ნიმუშში არ გამოვლენილა. სწორედ აღნიშნულის გამო იქნა სააგენტოს 2019 წლის 13 მარტის #09/2019 წერილში დაფიქსირებული, რომ სააგენტოს მიერ განხორციელებული მიკვლევადობით, სუნელებისა და სანელებლების ტყვიით დაბინძურების წყარო ვერ იქნა იდენტიფიცირებული.

დანართის სახით გაწვდით წერილში აღნიშნულ შემთხვევებთან დაკავშირებულ 2018 წლის ზედამხედველობის რეესტრს.

დანართი: ექსელის ერთი ფაილი.

ზურაბ ჩეკურაშვილი



სააგენტოს უფროსი

